N 173 16/05/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 6

დ. ჩოხატაური **25 აპრილი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე,დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე,თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მამია ბარამიძე. მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ზვიად წეროძე, დავით ტყეშელიაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ირაკლი კუჭავა- მუნიციპალიტეტის მერი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

გოგი ბოლქვაძე- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.

თენგიზ მეგრელიშვილი- ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

მამუკა ზარანდია- შპს. აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტორის“ მთავარი აუდიტორი.

თამაზ ბუკია- შპს. აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტორის“ მთავარი აუდიტორი.
თამაზ ბუკია- დამოუკიდებელი აუდიტი.
ლია ჩხიკვაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.
ნატო გოგელია-გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპონდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის (სოფელ ხიდისთავის სტადიონის რეაბილიტაციის) მოწონების შესახებ.

2. „საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ” 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

6. ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის,

ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, დავით ბერძენიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის (სოფელ ხიდისთავის სტადიონის რეაბილიტაციის) მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

2. „საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ” 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი.

7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებლები: მამუკა ზარანდია, თამაზ ბუკია, აკაკი ყაჭეიშვილი

I საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის (სოფელ ხიდისთავის სტადიონის რეაბილიტაციის) მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის (სოფელ ხიდისთავის სტადიონის რეაბილიტაციის) მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ კითხვით მიმართა პროექტის ავტორს, თუ რა ღირებულების იქნება ეს პროექტი და იყო თუ არა ასახული პრიორიტეტის დოკუმენტში. სასურველია, შემდგომში დამტკიცების დროს შევიტანოთ წინასწარ პროექტი დოკუმენტში.

გოგი ბოლქვაძემ უპასუხა- პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 150,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის დოკუმენტში არ იყო ასახული ეს პროექტი, რადგან, იქ გამოყოფილი თანხიდან არ ფინანსდება ეს პროექტი, დამატებით გამოიყო 150,0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის (სოფელ ხიდისთავის სტადიონის რეაბილიტაციის) მოწონების შესახებ.

II საკითხი: „საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

„საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ბექა გამდლიშვილმა, ირაკლი ახობაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების

შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> კობა კალანდაძემ, უშანგი ართმელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, რომელმაც დასვა კითხვა: იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე თუ რამდენი ლარი არის მოსაკრებლის გადასახადი დასუფთავებისთვის 1 კუბურ მეტრზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ლაშა თოლორდავამ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

VI საკითხი: ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების

დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

VII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: მამია ბარამიძემ, რომელმაც ი. კუჭავას კითხა: ცნობილი იყო, თუ არა სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილ საბავშვო ბაღების დასკვნა და დასკვნიდან გამომდინარე მოახდინა რაიმე სახის ქმედება და მიიღო თუ არა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი, გაეცნო თუ არა აღნიშნულ თემას.

საკურორტო სეზონი ახლოვდება, შარშან ჩვენ გვქონდა ცხოველების იზოლირების წესი. წელს გავაუქმეთ. მაინტერესებს, როგორ ვემზადებით კონკრეტულად ამ სეზონზე ცხოველების იზოლირებასთან დაკავშირებით.

- წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2017 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით თქვენთვის მისაღებია თუ არა?

ირაკლი კუჭავა- არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩვენი უმრავლესობისთვისაც საკმარისია ეს დასკვნა. რაც შეეხება სახელმწიფო აუდიტის დასკვნას, ველოდებით შემოწმებას.

ლია ჩიგოგიძე- არ გისაუბრიათ ბასილეთის საბავშვო ბაღზე, არსებულ მდგომარეობაზე, რომელიც ახალ გარემონტებულია. შემოწმებული იქნა ეს ბაღი, გაცილებით დიდი თანხებია დახარჯული, მაგრამ მდგომარეობა მაინც საგანგაშოა. ვინ არის კომისიის წევრები, ვინც ეს ბაღი შეამოწმა და მიიღო ექსპლოატაციაში.

- თქვენი ბრძანებით, (№1652 ბრძანება, 03/11/2017 წლის და №1681 ბრძანება, 10/11/2017 წლის) გაცემულია თქვენს მიერ სარეზერვო ფონდიდან 300 და 500 ლარიანი ფულადი დახმარება. მაინტერესებს, რამდენად კანონიერია, სარეზერვო ფონდიდან აღნიშნული თანხის გაცემა.

ასევე მაინტერესებს, ა(ა)ი.პ.-ებთან დაკავშირებით, დასრულდა თუ არა რეორგანიზაცია და იგეგმება თუ არა ხელფასის მატება.

მაია კუტუბიძე- თქვენს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, ბოლო ნაწილში ვკითხულობ, რომ ჩატარდა საფეხბურთო კლუბ ,,ბახმაროს“ და აგრალური ბაზრის აუდიტი. მაინტერესებს, გვაქვს თუ არა უკეთესი მდგომარეობა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მომავალში შევისწავლოთ და განვიხილოთ დასუფთავების შესყიდვა, რომ უფრო გამჭირვალე იყოს ამ ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შესყიდვები.

ირაკლი ახობაძე- მაინტერესებს, სტიქიის თანხიდან შეძენილი თუნუქებით და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დარიგებული სახურავებით რა შედეგი მივიღეთ, რამდენმა ოჯახმა გადახურა სახლი. თქვენი ინფორმაციით, როგორ ჩატარდა ეს ღონისძიება დამაკმაყოფილებლად თუ კარგად.

ირაკლი კუჭავამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს: მამია ბარამიძეს მინდა ვუპასუხო: რა ღონისძიებებს ვახორციელებთ ბახმაროსთან დაკავშირებით ცხოველების იზოლირებასთან მიმართებაში . ვიცით, რომ ბახმაროს ტერიტორიაზე მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა და მსხვილფეხა შინაური ცხოველების დაჭერა-იზოლირების წესი ძალადაკარგულად გამოცხადდა. რთული პროცედურაა შესასრულებლად. ამიტომ, არარეალური იყო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნების აღსრულება. რა იგეგმება სამომავლოდ? ისევ მეველეებით უნდა ვარეგულიროთ ეს პრობლემა. წელს მეტი ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ.

- რაც შეეხება შესყიდვებს, ტენდერის გამოცხადებას დასუფთავებაზე, ეს არის სამსჯელო თემა. ბევრია საფიქრალი ამასთან დაკავშირებით. მოსაკრებელის თემაც მოსაგვარებელია, რომ რაღაც- რაღაცეები გახდეს ფასიანი;
- სოფელ ბასილეთის საბავშვო ბაღთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საგანგაშო მდგომარეობა ამ ბაღში იყო, სანამ დასრულდებოდა მუშაობა. 58,0 ათასი ლარი არაფერ საგანგაშო თემა არ არის. პროექტის ფარგლებში სამუშაოები შესრულდა სრულად. კიდევ დარჩა გასაკეთებელი რაღაცეები;
- სახლების გადახურვასთან დაკავშირებით გიპასუხებთ, რომ მართლაც არის პრეცენდენტი, რომ ადამიანებმა გაყიდეს სახურავი. მე ვერ გეტყვით ციფრს, თუ რამდენმა ადამიანმა გადახურა სახლი იმ სახურავით, მაგრამ ფაქტი არის ნამდვილად , რომ გაასხვისეს სახურავები. გვაქვს ამ ადამიანთა სავარაუდო სია და ისინი აწი ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებენ მუნიციპალიტეტიდან;

- გიდასტურებთ, რომ ა(ა)ი.პ.-ების რეორგანიზაცია დასრულდა. გავზრდით თუ არა ხელფასებს, ამაზე პასუხი არ მაქვს. ეს დამოკიდებულია შემოსავლებზე, მაგრამ თუ გავზრდით, ეს პირველ რიგში დაიწყება საბავშვო ბაღებიდან;

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

VIII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებლები: მამუკა ზარანდია, თამაზ ბუკია, აკაკი ყაჭეიშვილი,

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ აღნიშნა, რომ აუდიტორული შემოწმება მიზნად ისახავს შესაბამისობის შემოწმებას პარამეტრების. შესასრულებელი არის სხვა შემოსავლების გეგმა, 303,0 ათასი ლარი დააკლდა შესრულებას. თუ შეისწავლეთ და ანალიზი გააკეთეთ რატომ მოხდა ეს, რა იყო ამის გამომწვევი მიზეზები, მაშინ როდესაც 2017 წლის 26 დეკემბერს მოხდა ცვლილება აღნიშნულ საკითხში, დაემატა 364, 4 ათასი ლარი, გაიზარდა აღნიშნული, იმიტომ, რომ გაწეულიყო გარკვეული სახის ხარჯები. შეიძლება ითქვას, მოხდა ფიქტიური გაზრდა და არანაირი აუცილებლობა ამის არ არსებობდა. მივიღეთ შეუსრულებელი ბიუჯეტი ამ საკითხში.

საკუთარი შემოსავლები 855, 7 ათასი ლარით არის ნამატი გასულ წელთან შედარებით, მაშინ, როცა თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი გვეუბნება, რომ გამოყენების მიზანს მიგვითითებს. არის თუ არა აღნიშნული ნამატი თანხა გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

ირაკლი ახობაძე- საკუთარი შემოსულობები, საკუთარი გადასახდელები რამდენი ლარი იყო?

მამია ბარამიძე- ა(ა)ი.პ.-ების თემა ახსენეთ, მე კონკრეტულად მაინტერესებს რა დონეზე შემოწმდა ა(ა).ი.პ ,,მომავალი", როგორი ტიპის შემოწმება მოხდა კონკრეტულად და რა ფორმით. გაკმაყოფილებთ თუ არა ის ინფორმაცია რომელიც არის წარმოდგენილი.

ლია ჩიგოგიძე - თქვენს მიერ წარმოდგენილ დასკვნაში წერია, რომ ჩვენს მიერ შემოწმდა სუბსიდირებული თანხების მოძრაობა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული ა(ა) ი.პ.-ების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე. ინვენტარიზაცია ფაქტიურად არაა ჩატარებული. ბუღალტრულ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია. არის შეუსაბამო მონაცემები. ბუღალტრებს მიეცათ შესაბამისი მითითება. მაინტერესებს, თუ ინვენტარიზაცია არ ჩატარდა, აუდიტი დასვნას როგორ დადებს.

ირაკლი ახობაძე - ასიგნებებში კულტურის ცენტრში უნდა ყოფილიყო ხარჯი 382,2 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა უნდა ყოფილიყო 72,5 ათასი ლარი ეს არის დამტკიცებული. ანგარიში წარმოდგენილია, რომ ხარჯები არის 454,7 ათასი ლარი. არაფინანსური ზრდა ფაქტიურად 0-ის ტოლია. არის თუ არა დარღვევა და გაქვთ თუ არა შენიშვნა ამასთან დაკავშირებით;

- გაქვთ თუ არა დათვლილი სარეზერვო ფონდიდან გახარჯული თანხები და რამდენად სწორად არის გახარჯული;

მაია კუტუბიძე - ვალდებულების კლებაში გვაქვს ცდომილება, არის უფრო მეტი ვიდრე უნდა ყოფილიყო. მაინტერესებს 118 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო თუ არა?

მაია გოგოგლაძემ უპასუხა, სუბსიდიის მუხლით მოხდა ცვლილება, საიდანაც გაიხარჯა ეს თანხა, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს ამაზე ინფორმაცია.

მამუკა ზარანდიამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს: დავეთანხმები საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ამ საკითხში. რაც შეეხება ა(ა).ი.პ- ებს ჩვენ არ შეგვიმოწმებია. სარეზერვო ფონდი შერმოწმებულია და 48,8 ათასი ლარია გახარჯული, ფაქტობრივად ეს შესრულებული სამუშაოებია და შეადგენს 48,8 ათას ლარს.

ნაშთი საკუთარი შემოსულობებიდან 855,7 ათასი ლარია წინა წელთან შედარებით.

რაც შეეხება ა(ა).ი.პ- ებს გეტყვით, რომ ბუღალტრული თვალსაზრისით წარმოვადგინეთ ბუღალტრული ანგარიშგება.

ირაკლი ახობაძე - ჩემი აზრით, ეს ანგარიში დააბრუნეთ უკან მოაწესრიგეთ და შემდეგ განვიხილოთ.

მაია გოგოლაძე- თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის შესაბამისად საკუთარი შემოსავლები 2016-2017 წლეებში შეადგენს 855,7 ათას ლარს. ცლილების შესაბამისად არაფინანსური აქტივები გაიზარდა 381,0 ათასი ლარით. 140 ათასი ლარი მიემართა ბაღების სუბსიდირებაზე, ხოლო კომუნალური სამსახური სხივისთვის 170 ათასი ლარი მივმართეთ, რაც ჯამში 681 ათას ლარს შეადგენს. სოციალური პროგრამები გაიზარდა 25 ათასი ლარით, 130 ათასი ლარი გამიოყო პრეემისთვის, ასე, რომ ამ მუხლში არანაირი დარღვევა არგვაქვს.

სარეზერვო ფონდში გაწერილია 48,8 ათასი ლარი, რომელიც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი, ეს არის ხაზინიდან ამოღებული ფორმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 27

წინააღმდეგი _4

(მ.კუტუბიძე, ი.ახობაძე, ლ.ჩიგოგიძე, მ.ბარამიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა